

მარიამ წინიკელაშვილი

Lille Catholic University, France

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„ჯერ კიდევ საფრანგეთში ჩამოსვლამდე ვიცოდი, რომ წინ მრავალი საინტერესო და ფერადი თავგადასავალი მელიოდა, თუმცა რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა. განსხვავებულმა სასწავლო სისტემამ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებთან კონტაქტმა, ადგილობრივმა ლექტორებმა, ფრანგებთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ, მნიშვნელოვანი გამოცდილება მომცა და გარკვეული წვლილი შეიტანა ჩემი როგორც პიროვნული, ისე პროფესიული განვითარების საკითხში. საფრანგეთში სწავლა და დამოუკიდებლად ცხოვრება უდიდესი გამოწვევა იყო ჩემთვის.“

ვფიქრობ, ჩემი პიროვნული თვისებები და სიახლეებისადმი სწრაფვა დამეხმარა მარტივად დამეძლია ცხოვრების ეს ახალი ეტაპი. მიმაჩნია, რომ საფრანგეთი საუკეთესო ადგილია სტუდენტური ცხოვრებისა და მოგზაურობისთვის. აქ წამოსვლა ერთ–ერთი ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში.“